# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 145

წელიწადი მეორე

1913

სამშაბათი, 17 სექტემბ[ერი]

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

**1913**

# იმერეთი

**გაზეთის ფასი:**

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

...ს მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთის და საზღვარგარე...ს საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება 20 ...სთვიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების ...ბაში, ხვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება ...ათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კოსტუმი 5 მან. ...წყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვის ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის ...ვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ...ბის მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, რუბა...ები და სარუბაშკეები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების, ...იკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რე...ნები, ყოველნაირი რეზინა საპადვიოსკე და აგრეთვე მზა პადვიოსკები ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ...მოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ...ვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. **ფასები ხელმისაწვდომია და უვიჭროთ.** პატივისცემით ა. ახვლედიანი.

# ПО СЛУЧАЮ ОТЪѢЗДА

**ПРОДАЕТСЯ** очень дешево дача въ Сурамѣ, большой двухэтажный домъ съ флигелемъ; полторыдѣсятины земли; изъ нихъ полъ ...сят. сосновой рощи съ банковскимъ долгомъ, объ условіяхъ узнать: г. Кисловодскъ до востебованія, *Генеральшѣ Якуловой*.

აგარაკ სურამში, საიდანაც მივდივართ,

# ი ა ფ ა თ ი ყ ი დ ე ბ ა

...დი ორსართულიანი სახლი ფლიგელით, ერთ-ნახევარი დესეტინა მიწით. ნახევარ დესეტინაზე ნაძვნარია, ბანკის ვალით. პირობების შეტყობა შეიძლება ამ მისამართით: კისლოვოდსკში ღენერლის მეუღლეს იაკულოვისას (до востребованія).

# კ. ი. ოცხელის

## ახალი წიგნის მაღაზია

(ქ უ თ ა ი ს შ ი).

...მავლობას უწევს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებს, და უთმობს მათ

# უ დ ი დ ე ს პ რ ო ც ე ნ ტ ს.

**[კ.] ი. ოცხელის** წიგნის მაღაზიის საკუთარ ახალი გამოცემები: დაიბეჭდა და იყიდება, საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა მესამე გამოცემა, ფასი ყდით 2 აბაზი

...ბეჭდება მოკლე ქართული გრამატიკა ი. ნიკოლეიშვილისა მეორე გამოცემა ფასი ყდით 1 აბაზი. 10—1

...ქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ...აზე **ქალაქის აფთიაქის გვერდით,** ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

# ფაზისი,

...ც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ...მამი ქართული და ევროპიული **იაფ-ფასათ;** ყოველგვარი ღვინო, ტკბილი სასმელი და ცივი მინერალური წყალი.

**რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების**

კინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

# პაროსი

25 ცალი 3 შ. | 10 — 6 კ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოვო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

**ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოთ.**

ქ. ქუთაისში **კ. ი. ოცხელის და ამხ.** წიგნის მაღაზიაში იყიდება მისივე გამოცემი

**ქართული სახელმძღვანელო**

# „საქართველოს ისტორია,"

მესამე გამოცემა სურათებითა და გეოგრაფიული კარტით, შედგენილი ბ. **სიმონ** ქვარიანის მიერ. წიგნი ღირს ყდით ორ აბაზათ.

**„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ".**

ყოველი ერი მაშინ მიდის წინა და ვითარდება, როცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას. ერის აწმყო და მომავალი ცხოვრება უმთავრესათ დამყარებულია მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, ისე იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე მით უფრო მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო ...გემს, რომელიც უთავბოლოთ დაფორიალობს ზღვის ტალღებში. სწორეთ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის, რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორია, მათ შკოლებში უმთავრესსა და უსაყვარლეს საგნებს შეადგენს: სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათი განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონეთი და ფინეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ამას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.

ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება, სხვათა შორის, აიხსნება მით, რომ იგი რა იცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნებაც გაამხნევებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის არსებაში მოქმედების ღრმა რწმენას და მისცემს უშრეტ ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობრივათ ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი შკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია,

ამ მოსაზრებით აქ სამი წლის წინათ ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება უძველესი დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამ და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოიღო სახმარებლათ მთელ საქართველოში, როგორც კერძო და სამოქალაქო შკოლებში, ისე სამინისტროსა და სასულიერო სასწავლებლებში. თავისი მარტივი, გასაგები ენითა და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.

დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია" გამოდის მესამე გამოცემათ ხუთი ათასი ცალი. გვწამს, რომ მას შეხვდებიან ჩვენი შკოლები, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველს ორს გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკაძის სურათი.

გამომცემელი კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.

# თ. ა. მთავრიშვილის

# წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

# დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წ ი გ ნ ე ბ ი,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი,** ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

# თფილისის საპოლიტეხნიკო კურსები

## ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწის-მზომელო, საალმშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწის-მზომელო და საალმშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. მეცადინობა 1 ოქტომბერს დაიწყება. პროგრამისა და პირობებისათვის საჭიროა 4 შვიდ-კაპიკიანი მარკა. პირადად მოლაპარაკება შეიძლება სალამ. 4 8 ს., **დუშეთის ქ. № 4, ბინა მე-2.**

**ა ქ ი მ ი** ქ. ო. **ტუღუშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

# აქიმი ი. ჩარექოვი

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს **აქიმი** საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

# მ. ბალანჩივაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ურცხი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

აქიმი კ. ი. კავიტელაშვილი საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ვეღარ მიიღებს. 7—15

**აქიმი** **ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.

**აქიმი** ქ. ი. **აშიანცი დაბრუნდა და** ავათმყოფების მიღება განაახლა. **ივანოვის ქ. პ. აშიანცის სახლი.**

**ა ქ ი მ ი** **გ. ა. მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და სალამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30

# შ ე კ ი თ ხ ვ ა.

როგორც დაგვარწმუნეს, ამ დღეებში დეპუტატთა საკრებულოს მსჯელობა ქონია ახალი სტიპენდიის დანიშვნაზე იმ ოციათასი მანეთიდან, რომელიც იმერეთის თავად-აზნაურობას ყოველწლიურათ უმაღლესათ ებოძა.

მართალია, ჯერ სტიპენდია საბოლოოთ არავისთვის დაუნიშნავთ, მაგრამ ეს იმიტომ მომხთარა, რომ საკრებულოს წევრებს თავთავისი კანდიდატი ყოლიათ— და ერთმანეთს ეჯიბრებოდენ თურმე, არა ჩემს კანდიდატს უნდა დაენიშნოს და არა ჩემსასო!..

ჩვენ ვიცით, რომ თავად-აზნაურთა კრებისაგან არა ერთ გზის არის დადგენილი, რომ ხსენებული თანხიდან ახალი სტიპენდია არავის დაენიშნოს და ძველი სტიპენდიატებისაგან განთავისუფლებული მთელი ეს თანხა ქართულ გიმნაზიას გადაეცეს სწავლაგანათლების საქმისთვის მოსახმარებლათო.

საგულისხმოა ვიცოდეთ: რა საფუძვლით არღვევენ დეპუტატთა საკრებულოს წევრები საზოგადო კრების დადგენილებას? სულ სამი თვეა მას შემდეგ, რაც საზოგადო კრებამ საყვედური გამოუცხადა დეპუტატთა საკრებულოს კანონიერ დადგენილებათა დარღვევისათვის, და დღეს, როცა ამ საკრებულოში რევიზიაა გაჩაღებული ძველი უწესრიგობის გასათვალისწინებლათ, საკრებულოს წევრები ცხად უკანონობას ჩადიან და არღვევენ

იმ დადგენილებას, რომელიც მათის უმაღლესი ორგანოსაგან—საზოგადო კრებისაგან კატეგორიულათ, გადაჭრით არის ამ სამი თვის წინათ განმეორებული და მტკიცეთ მათდამი ასასრულებლათ დავალებული!

რას ნიშნავს საკრებულოს ამგვარი საქციელი?!.

## აკაკის მოგზაურობა მუხიანში.

კვირას, დილის თერთმეტისნახევარი იქნებოდა, როდესაც ნიკოლაძის ქალთა ბინაზე, სადაც ჩამომხტარი იყო აკაკი, თავი მოიყარა ოცდაათამდი ქალმა და კაცმა. ბევრი მათგანი მგოსანს თან უნდა გაყოლოდა მუხიანს. მოვიდა მუხიანის დეპუტაციაც, რომელმაც აკაკის ეტლი მოართვა 11 საათზე მგოსანი გამობძანდა და დამსწრეებთან ერთად სურათი გადაიღო, და რამდენიმე წუთს შემდეგ ეტლებში ჩასხდენ და გაემგზავრენ. მგოსნის ეტლს უკან 6 ეტლი მისდევდა. მხლებელთა შორის იყვენ: ჩვენი ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი, მგოსანი რუს-იმერლის ასული, გ. ლალიძე, ვ. რუხაძე, ბ. ჯაიანი, ლ. ბზვანელი, პ. მეფისაშვილი, ჩვენი კორესპონდენტი იმერი და სხვ. რიცხვით 24—25 კაცი. თორმეტის ნახევარი იქნებოდა, როდესაც ქალაქს გავსცდით და სოფ. ქვიტირში შევედით. გავიარეთ ზედა-ქვიტირი, და მივუახლოვდით თუ არა ქვედა-ქვიტირს გაისმა ზარების რეკა. შევედით ეკლესიის გალავანში, ატყდა ტაშის ცემა და გაისმა „ვაშა აკაკის", „აკაკის გაუმარჯოს" და სხ. თავი მოეყარა ქვიტირისა და ახლომახლო სოფლების მცხოვრებთ. მგოსნის ეტლს ცხენდაცხენ შემოეგება სოფლის რამდენიმე ახალგაზდა ჩაქურაში გამოწყობილი, თოფებით ხელში. გაისმა თუ არა ტაშისცემა, დაიჭექეს თოფებმა. მგოსანი ეტლიდან გადმოიყვანა დ. ავალიანმა და აქიმმა ნასაძემ და სთხოვეს ეკლესიაში მიბძანებული იყო, სადაც პარაკლისი გადაიხადეს. პროცესია, რომელიც აკაკის ახლდა ელექტრო-თეატრი „რადიუმის" მიერ სპეციალურათ გამოგზავნილმა კაცმა გადაიღო. პარაკლისის გათავებას შემდეგ აკაკი ბიბლიოთეკა-სამკითხველოში შეიწვიეს. სამკითხველოს წინ მას ვრცელი სიტყვით მიმართა აქიმმა გ. ნასარიძემ, რომელმაც დაახასიათა მგოსნის ღვაწლი და მოღვაწეობა 50 წლის განმავლობაში. შემდეგ თვით აკაკიმ მიმართა დამსწრეთ სიტყვით, მგოსანი აღელვებულის კილოთი ლაპარაკობდა, მგრძნობიარეთ და ეს იყო მიზეზი, რომ დამსწრეთა შორის ბევრს თბილი ცრემლიც მოსწყდა. მგოსანმა სთქვა: „მე ის კი არ მახარებს, რომ მე მცემთ პატივს, ჩემში აღფრთოვანებასა და აღტაცებას იწვევს ჩემი მოლოდინის გამართლება. ეს პატარა სამკითხველო ნიშნიია იმისა, რომ ხალხმა გაიღვიძა, იგი გამოფხიზლდა, გამოირკვა და კულტურული გზით წინ მიდის"... მგოსნის სიტყვებს ბანი მისცა მქუხარე ტაშმა, ვაშის ძახილმა და თოფების სროლამ. პირველის ნახევარზე ხალხი მუხიანისკენ დაიძრა. აკაკის ეტლს თან ახლდა ცხენოსანი ახალგაზდობა. წინდაწინ გასწია ქვიტირის მამასახლისმა ჩაფრებით, რათა მუხიანელებისთვის ემცნო აკაკის მოახლოვება. მივუახლოვდით თუ არა მუხიანს, გაისმა მქუხარე ტაში და გვრგვინვა. წინ გადაიშალა მშვენიერი სანახაობა: გზა სადგურიდან ბიბლიოთეკამდი მწვანით შემოსათ გზის იქით აქით ნაპირს ფოთლების გრეხილი გაებათ. შუაში დიდი თაღი, ზედწარწერით: „გაუმარჯოს აკაკის", „მობძანდით, ბატონო" და სხვ. მიუახლოვდა თუ არა თაღს მგოსნის ეტლი, სოფლის ახალგაზდებმა შეაჩერეს იგი, აკაკი ხელზე აიყვანეს და კვლავ ერთი ორათ იმატა ტაშმა, მეტის სიძლიერით გაისმა „ვაშა", დაიჭექეს თოფებმა და მუსიკამ დაუკრა „მარში". აკაკი ხელით წაიყვანეს სამკითხველოს შენობისკენ, გზადაგზა „ვაშა", ტაში, მუსიკა და პატარა ქალები ყვავილებს აფენდენ წინ. მგოსანს პურ-მარილით შეეგება სამკითხველოს გამგეობის ერთ-ერთი წევრთაგანი. შემდეგ სულმნათი მისთვის განგებ ყვავილებით მორთულს სავარძელში ჩასვეს სამკითხველოს აივანზე. აქ მას სიტყვით მიმართა სამკითხველოს გამგეობის წევრმა ჯინჭველაშვილმა და დაიწყო პარაკლისი. პარაკლისის გათავებისას ღვდელმა პ. ჯინჭველაშვილმა, მოკლე, მარტივი და მშვენიერი სიტყვით მიმართა მგოსანს, რომელშიც აღნიშნა ღვაწლი და მისი მნიშვნელობა ქართველი ერის ზრდა-განვითარებაში. ბიბლიოთეკიდან აკაკი გადაიყვანეს ეზოში, სადაც სუფრა იყო გაშლილი. მგოსანს გარს აუარებელი მიდამო სოფლებიდან მოსული ხალხი ეხვია. 3 საათზე 60—70 კაცამდი გაშლილ სუფრას გარს მოუსხდა. თამადამ ღვდ. პ. ჯინჭველაშვილმა აიღო ჭიქა ხელში და მგოსანს უსურვა დღეგძელობა. კვლავ გაისმა ტაში, „ვაშას ძახილი" და მუსიკამ დაუკრა „მრავალ ჟამიერი". სადილი მხიარული იყო. აქ მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვეს დ. კლდიაშვილმა, გ. ლალიძემ, ა. იურკევიჩის (რუს-იმერლის) ასულმა, მეფისაშვილმა, ჩვენმა თანამშრომელმა „იმერმა" და სხ., რომელთაც მგრძნობიერი და მშვენიერი სიტყვითვე უპასუხა მგოსანმა. ამაზე ხვალ.

## ახალი ამბავი.

მალე ქუთაისის საზოგადოებაც მოისმენს ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის ქართულ სიმფონიურ კონცერტს. ახალი კლუბი დათანხმებულა დაუთმოს მას მთელი თავისი სიმფონიური ორკესტრი. თვით ბ-ნი ფოცხვერაშვილი ამ ჟამად ქუთაისშია თეატრის თაობაზე დრამატიულ საზოგადოებასა და მომღერალთა გუნდთან მოსალაპარაკებლათ.

✦ წელს ოდესის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი 15 კაცმა დაასრულა. ესენი არიან: ნ. ანდრიაძე, მ. ბურდული, რ. კობალეიშვილი, ა. კაკაბაძე, ვ. კანდელაკი, ღ. კოსტავა, რ. მაჩაბელი, ქ. მოსეშვილი, ს. მურვანიშვილი, ნ. ნემსაძე, ი. ხათრიძე, გ. რიჟამაძე, მ. ცეცხლაძე, გ. რეკვავა, ს. ჩომახიძე და ქ. ჯაფარიძე.

✦ შაბათს, 21 სექტემბერს, ფოთში გადაიხდიან ვლ. მესხიშვილის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს. გაიმართება წარმოდგენა იუბილიარის მონაწილეობით.

✦ ფოთის სამოქალაქო შკოლის ინსპექტორი მიტროფანოვი ახალქალაქის მაზრის სახალხო შკოლათა ინსპექტორათ დაინიშნა.

✦ შესდგა ქუთაისში სახალხო წარმოდგენათა წრე, რომელშიც მონაწილეობენ: ს. ეპიტაშვილისა, ნ. ხელაძის. მ. პაპავას, ნ. გიგაურის, ნ. ლოლუას და ლ. ბიბილეიშვილის ასულნი. ვაჟები: ნემო, გ. თუთბერიძე, ვ. ბალანჩივაძე, ა. თუმანიშვილი, ბ. შარაშიძე, გ. ლორთქიფანიძე, ვ. აბულაძე, ვ. ტყეშელაშვილი, ბოჭორიშვილი, ს. ქურციკიძე, ს. გერსამია, პ. გუჯაბიძე, ქ. ჯანელიძე, ნარეკაშვილი, პ. ცინცაძე, გ. ტუსკია, გ. ბრეგაძე, ა. ტ-ია და სხ.

წრის გამგეობა სთხოვს ხსენებულ პირთ გამოცხადდენ თვითმართველობის დარბაზში 18 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე. გამგეობა სთხოვს აგრეთვე იმ პირთ, ვინც ჯერ არ ითვლებიან წრეში, მაგრამ სურვილი აქვთ სცენაზე თამაშის, დაესწრონ კრებას და მონაწილეობა მიიღონ.

✦ 14 სექტემბერს გოშპიტლის ქუჩაზე მეეტლეს № 15 ეტლიდან გადმოუგდია მთვრალი მუშტარი და ძალზე უცემია, რადგან ამ უკანასკნელს მისთვის მანეთის მაგივრათ სამი მანეთი არ მიუცია.

## დღიური.

ალბანელებმა თუზი და დიაკოვ... აიღ;ს

— ცნობაა—ავსტრიას განზრახვა აქვს ალბანეთი დაიკავოს.

— სერბიამ ჯარის მოგროება დაწყო.

მთაშავეთმა თუზის დასაბრუნებლათ ჯარი გაგზავნა.

— გენერალმა ჩჯანმა იაპონიის საკონსულოს წინაშე ბოდიში მოიხადა.

— დიდი სახელმწიფოები [illegible] ვენ შეჩერას ალბანეთის წინააღმდეგ [illegible] ლისუფლად იმოქმედოს.

— [illegible] კავკასიის [illegible] აზრია, საუდელტეხილო რკ ნისგზის ყვანა კერძო პირთ მიანდოს.

— კიევში სასოფლო სამეურნეო [illegible] წესებულებათა კრება დასრულდა.

✦ 16 სექტემბერს, ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა პურის ნიხრს ზევით გაყიდვისათვის მეფურნე კარაპეტ გაბრიელოვს. აგრეთვე ზედამხედველმა შუამდგომლობა აღძრა გაბრიელოვს პურით ვაჭრობა აუკრძალონ, რადგან ასეთივე ოქმი შეუდგინეს მას 15 სექტემბერსაც.

✦ 14 სექტემბერს ბათომში ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობის ინიციატივით გადაიხადეს პარაკლისი სეზონის დაწყების გამო. პარაკლისს შემდეგ გამგეობის თავჯდომარემ ივანე მესხმა მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და მოუწოდა მას დაეხმაროს თეატრის საქმეს. დასის რეჟისორმა შ. დადიანმა დასის შემადგენლობაზე და რეპერტუარზე ილაპარაკა.

✦ ჩვენ მივიღეთ გ. რუხაძის ლეგენდა: „ერის სულის მეფე." ლექსი ლამაზი აზრიანია. წიგნაკი გამოუცია „იმერე ის" საამდროვო გამომცემლობას. გამოცემაზე უადგილოთაა მოყვანილი წარწერა: „ძღვნათ აკაკის, მისი მუხიანსა და სხვადასხვა ადგილებში მგზავრობის გამო." ლეგენდა თავისთავად მოხდენილია და შესაფერი ძღვენიც მხცოვანი სულმნათისთვის საზოგადოთ და არა მისი მოგზაურობის გამო სხვადასხვა ადგილს.

### მოწერილ ი ამბავი.

**ქ. ოზურგეთი.** 12 ეკენისთვეს მოხდა ადგილობრივი საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა დამფუძნებელი კრება.

კრებას თავჯდომარეობდა ბ. დ. ზ. ცეცხლაძე და მდივნათ ამოირჩიეს ბ. გ. მ. ჩიჩუა.

კრებამ მცირე მსჯელობას შემდეგ დაამტკიცა პირველი წლის სავარაუდო ხარჯაღრიცხვა, რაც 4275 მან. უდრის

კრების დასასრულს თანამდებობის პირთა არჩევნები მოხდა. გამგეობის წევრებათ აირჩიეს: ბ. ბ. ვ. ს. ხუნდაძე, კ. თ. სიამაიშვილი და დ. მ. ვასაძე; სა[...] ჰოს დეპუტატებათ: ბ. ბ. გ. მ. ჩიჩ[...] დ. ზ. ცეცხლაძე, ა. გ. კალანდ[...] კ. ს. ტუღუში, მ. ი. სიხარულიძე, კ. ი. სიხარულიძე; სარევიზიო კომის[...] წევრებათ; ბ. ბ. თავ. ე. კ. ნაკაშ[...] გ. ა. სალუქვაძე და რ. ლ. ჩხაიძე ამათ კანდიდატებათ ბ. ბ. ე. ანთელ[...] მ. თალაკვაძე და ი. ღლონტი.

**ქ. ფოთი.** ქ. ფოთის მომხმარებ[...] საზ. „ეკონომიის" გამგეობა დაბეჯით[...] ბით სთხოვს იმ წევრებს, რომელთ[...] ნისიათ ნავაჭრი საქონლის ვალი მა[...] თებთ, გადაიხადონ ეს ვალი ათი დ[...] განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევა[...] გამგეობა იძულებული იქნება გამოაც[...] დოს ყველა მოვალეთა სახელი და გვა[...] გაზეთის ფურცლებზე, ხოლო თვით [...] ლი გადაახდევინოს სასამართლოს წეს[...]

გამგეობა მოაგონებს აგრეთვე წე[...] რებს, ვისაც შემოსატანი აქვს საპაე ფ[...] ლი, დააჩქარონ შემოტანა.

— ისე გახშირდა ფოთში და მოდ[...] შემოვიდა ქორწილზე და შვილების ნა[...] ლაზე ფულების გადახდევინება, რომ [...] არ გავა—ოთხი-სამი ბარათი არ მოგი[...] დეს და შიგ არ ეწეროს „მობძანდი[...] თქვენითა გაამხიარულოთ ოჯახი ჩ[...] ნიო".

## აქიმი გ. მ. მუხაძის ნაამბ[ობ]იდან.

დოსტაქარი გ. მ. მუხაძე, როგორ[ც] მკითხველებმა იციან, ინგლისიდან დაბრ[უნდა] და ქიათურაში 5 ამ თვეს.

მახლობელ ამხანაგთა და ნაცნობთ[...] მოკლეთ გაგვიზიარა თავის შთაბეჭდილ[ე]ბანი. ჩვენ ორიოდე სიტყვით გვსურს [...] დავსცეთ მკითხველ საზოგადოებას [...] ზოგადი შთაბეჭდილებანი.*)

ბატ. მუხაძეს გზადაგზა განსაკუთრებ[...]

*) თავის მოგზაურობის შესახებ დაწვ[რი]ლებით მოხსენებას გ. მუხაძე კავკასი[ის] აქიმთა კრებაზე წაკითხვას აპირობს.

## ნიკო ნიკოლაძე და მისი პოლიტიკა.

რამდენიმე თვის წინათ ქუთაისში დაიბეჭდა ბ. ნიკოლაძის წიგნაკი სათაურით: „ჩემ პოლიტიკაზე". წიგნაკი ისეთ საკითხს ეხება და ისეთი კაცის მიერ არის დაწერილი, რომ მოსალოდნელი იყო, ჩვენი პრესა დიდ ყურადღებას მიაქცევდა მას, დაწვრილებით გაარჩევდა და ღირსეულათ დააფასებდა ამ თანამედროვე მსოფლიოს ვითარების კრიტიკას. მაგრამ, თუ არა ვცდებით, არცერთმა მას ყურადღება არ მიაქცია, გარდა გაზეთი „იმერეთისა", თითქო წიგნაკის შინაარსი მარტო „იმერეთს" ეხებოდეს და „იმერეთის" თანამშრომლებში კი მარტო ურთს. მხოლოდ „იმერეთის" ერთმა თანამშრომელმა, ისარმა გასცა საკმაოთ ვრცელი და დასაბუთებული პასუხი და ამით გათავდა მთელი კამათი. ველოდი, რომ ბ. ნიკოლაძის წარსული მოღვაწეობის უფრო დაახლოვებით მცოდნე ვინმე აღამაღლებდა ხმას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და ამ უშედეგო მოლოდინით აიხსნება ამ წერილის დაგვიანება, რომლის დაბეჭდვაც თავიდანვე მქონდა განზრახული.

ბ. ურო ერთერთ თავის წერილში სწერდა, ბ. ნიკოლაძე გამოიცვალა, რეაქციონერი გახდაო. ჩვენის ფიქრით ბ. ურო ცდებოდა,—ბ. ნიკოლაძე არ გამოცვლილა, ის იგივეა დღეს, რაც გუშინ იყო, ისეთივე აზრების მატარებელია, როგორისაც იყო ორმოცდაათი წლის წინათ. ამას თვითონ ბ. ნიკოლაძე ამბობს ზევით მოხსენებულ წიგნაკში და ამის დასამტკიცებლათ მოყავს სხვადასხვა ადგილები თავის წინანდელი ნაწერებიდანა და ჩვენც გვჯერა, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისტორიის ჩარხის წ:ღმა-უკუღმა ტრიალს მისი მსოფლმხედველობა არ შეუცვლია.

ბ. ნიკოლაძე ბევრი რისამე მოწმე არის. ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერებაზე მის თვალწინ, ბევრი მოულოდნელი გამართლდა, შეუძლებელი შესაძლო გახდა, ბევრიც მოსალოდნელი არ გამართლდა, ბევრი ახალი იმედები აღიძრა, ბევრიც არსებული დაიმსხვრა! ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში მრავალი, თითქო მკვდარი ერი, ფენიქსებრ განახლდა, თავისუფლების გრიგალმა მრავალჯერ გადაუარა ქვეყანას, მრავალი ბორკილი დაიმსხვრა და მრავალი ტახტი დაილეწა! ყველა ამის მოწმე იყო ბ. ნიკოლაძე, მაგრამ მისი წინანდელი რწმენა მაინც არ შერყეულა და იგი ისევ კლდესავით დგას იმ პოზიციაზე, რომელზეც იდგა ორმოცდაათი წლის წინათ! რა პოზიცია არის ეს პოზიცია, რომლიდანაც ვერ დასძრა ბ. ნიკოლაძე ვერც მეცნიერების მძლავრმა და ახალმა ტალღებმა და ვერც მკვდრეთით ამდგარ ერთა აღფრთოვანებულმა კიჟინამ და ვერც თითქმის მთელი ქვეყნის დემოკრატიის თავისუფლებისთვის ბრძოლის ქარტეხილმა?

ამის პასუხს სესებით იძლევა ზემოაღნიშნული წიგნაკი—„ჩემ პოლიტიკაზე".

წიგნაკი, უნდა ვსთქვათ, ძლიერ მოხერხებულათ არის დაწერილი, ბევრი ხვრელები და საძრომები აქვს დატოვებული, ასე, რომ ზერელე წაკითხვით ვერც კი შეამჩნევს კაცი, თუ რაოდენ შემცთარი აზრებია გატარებული წიგნაკში და რამდენათ შეუფერებელია და უკან ჩამორჩენილი ავტორის მსოფლმხედველობა, მაგრამ ვინც წიგნაკს დაკვირვებით წაიკითხავს, დაინახავს, რომ ბ. ნიკოლაძის შეხედულებანი ჩვენს ქვეყანაზე და საერთოდ დღევანდელობაზე—მთელი მისი მსოფლმხედველობა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგ ფორმულებში:

1. ძლიერს დაემორჩილე, სანამ შენ მაზე უფრო ძლიერი არ გახდები. (იხ. გვ. 47) და არ დაივიწყო, რომ გონიერი ადამიანი წიწილისთვის ხარს არ გასცემს,—ადამიანის ამ თვისებაზეა დამყარებული თანამედროვე ეკონომიკა და პოლიტიკა. (გვ. 49).

2. მთელი ჩვენი მოძრაობა 1905 წელში სისულელე იყო და მაშინდელმა აუარებელმა სხვერპლმა ისეთი არაფერი მოგვცა, რასაც უმისოთაც მუქთად არ გვაძლევდენ. (გვ. 48, 52 და სხვა).

3. უვიცები, პროვოკატორები და კინტოები ხელმძღვანელობდენ მოძრაობას და ახდენდენ ამბოხებას. (გვ. 51 და 52).

4. რევოლიუცია ზოგისთვის აშენებელია, ზოგისთვის კი დამღუპველი: მაგალითად, დამღუპველია ის სპარსეთისათვის, ოსმალეთისათვისა და ჩინეთისთვის. (გვ. 44, 45).

5. ფედერალისტების პოლიტიკური მოსაზრება მეტაფიზიკაზეა აშენებული (გვ. 41).

6. ავტონომია სხვებისთვის იქნება წამალია, მაგრამ ჩვენთვის საწამლავია (გვ. 42, 46).

7. რუსეთთან გადაწნული ცხოვრება, აი, რაა ჩვენი საშველი, ფედერალისტების მიზნისაკენ ხალხის გატაცება დაღუპვა არის ხალხისა. (გვ. 79 და 83).

8. ამას გარდა ფედერალისტების მისწრაფება ღალატია დიდებულ წინაპირთა —ვახტანგ კანონმდებელისა, ირაკლი მეფისა და სხვათა ანდერძისა.

აი, უმთავრესი დებულებანი, რომელსაც ბ. ნიკოლაძე აწვდის მკითხველ საზოგადოებას თავის წიგნაკში: „ჩემ პოლიტიკაზე".

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით მრავალ წვრილმან შეცდომათა ანუსხვას, რომლითაც აჭრელებულია მთელი წიგნაკი; ჩვენ მხოლოდ ზემო აღნიშნულ დებულებაზე შევჩერდებით და ვეცდებით ვაჩვენოთ ფართო საზოგადოებას, რამდენათ პროგრესიულია ბ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობა და რამდენათ სასარგებლოა მის მიერ გამოთქმული აზრები ქართველი დემოკრატიისათვის კერძოთ და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის საზოგადოთ.—

უწინარეს ყოვლისა ბ. ნიკოლაძის პირველი და ძირითადი პრინციპი, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი, არის შემცდარი და შეუწყნარებელი, რეაქციონური და ყოველი წინსვლის შემფერხებელი. ბრძოლა უფლებისათვის ბ. ნიკოლაძის მიერ ისეთ ნიადაგზეა დაყენებული, რომ იგი ბრძოლა შეუძლებელი ხდება, ე. ი. შეუძლებელი ხდება იგი უფრო სუსტისათვის ძლიერის წინააღმდეგ, დაჩაგრულისთვის მჩაგვრელის წინააღმდეგ. ეს აზრი არათუ თეორიულად არის ყალბი და შეუწყნარებელი, ამას გარდა იგი ეწინააღმდეგება თვით ისტორიას და ახლანდელობის სინამდვილეს. ნამდვილათ კი თითქმის ყოველთვის ასე ხდება, რომ ერები თუ ადამიანთა სხვა კრებულები უფლებისათვის იბრძვიან მაშინაც კი, როცა უფრო ძლიერ მტერთან უხდებათ ბრძოლა და ამ ბძოლით ამტკიცებენ ისინი ერთობას და ქმნიან ძალას. მართალია, უფლებისათვის ბრძოლა აუარებელ სხვერპლს თხოულობს, აუარებელი ხალხი იღუპება ამ ბრძოლაში მიზანმიუწევლათ, მაგრამ ერთი თაობის მიერ „გზა თელილი" და მისი სისხლით მორწყული შემდეგ თაობას უადვილებს ბრძოლას [...] ანიჭებს მას გამარჯვებას.

ვინც იბრძვის თავის უფლებისა[...] თვის, იცავს მას ძლიერთა მიერ შ[...] ლახვისაგან, იგი განამტკიცებს თავის უ[...] ლებას, თავის ადამიანურ ცხოვრებას [...] ამ დიად შედეგს ბრძოლისას იხილა[ვს] ან თვით მებრძოლი ან მისი მომავალ[ი] თაობა, ხოლო ვინც თავის ძირითა[დ] ადამიანურს ანუ ეროვნულ უფლებისათვ[ის] არ იბრძვის, ან ასეთ უფლებას სავაჭრ[ო] სასწორზე სდებს და ანგარიშობს [...] რა პირადი ხელშესახები გამორჩენა ექნ[ე]ბა ამ უფლებისათვის ბძოლით, ის თავ[...] დღეში ვერ დაიცავს თავის უფლებ[ას] ის არც არის ღირსი, ამ უფლებისა [...] მას ფეხ ქვეშ სთელენ, ჩაგვრენ, სპობ[...] როგორც უფლება მოსილ პიროვნება[ს] ასევე ემართება იმ ჯგუფს, იმ ერს, რო[...] მელიც გადაჩვევია უფლებისათვის ბრძ[ო]ლას!

მართალია, სალი გონების ადამიან[ი] ქორს არ გამოეკიდება მოტაცებულ წიწილის გადასარჩენათ, თუ ამას ბა[...] შეიძლება ხარი შეუჭამოს, არავინ [...] თუმანს არ გასცემს ასი მანეთის მისაღ[...] ბათ, ეს ასეც უნდა იყოს ყველგან, [...] დაც კი სალი და ფხიზელი გონება [...] შაობს, ხოლო ეს მაშინ, როცა საქ[...] მხოლოდ ქონებას შეეხება. და ბრძო[...] ლისათვის საჭირო ხარჯი და მოსალოდ[...] ნელი მოგება მართლა სასწორზე ა[...] წონია!

მაგრამ იქ, სადაც საფრთხეშია პიროვ[...] ნული ანუ ეროვნული უფლება ად[ა]მიანისა, როცა ითელება პიროვნულ[ი] ღირსება ადამიანისა ანუ ერისა, საფუ[...] ძველი მთელი მისი არსებობისა, იქ [...] ჭიროა ბრძოლა, ბრძოლა თავგანწირ[ვი]ლი! შეიძლება ამ ბრძოლამ ბევ[რი] სხვერპლი შეიწიროს, მაგრამ იგი სხვე[რპლი ...]

ლებით დაუთვალიერებია საავათ-
ოები და მუზეუმები.
თიდან გ. მუხაძეს უმოგზაურია
ქიმთან—გ. ნ. ტერნესსოვთან და
ასპიროვთან ერთად. პირველად შე-
ულან ოსმალეთის პატარა ქალაქ
ნში. ამ ქალაქში 40.000 მცხოვრე-
ფილა. ქალაქი ნამდვილი აზიუ-
. ქალაქს თანამედროვე მოთხოვნი-
ზე აშენებული საუცხოვო საავათმყო-
ონია, 70 საწოლით და ოთხი აქი-
საავათმყოფო ინახება ქალაქის ხარ-
ავათმყოფებისა უსასყიდლოთ
ბს. საავათმყოფოს 5 კაცისგან არ-
ი კომიტეტი განაგებს.
სუნიდან ქ. ბოსფორისაკენ გამგზავ-
ლან. მშვენიერი შთაბეჭდილება მო-
ნია ბოსფორს მათზე არქიტექტურის
ვნებისა და მხატვრობის მხრით. აქი-
ონსტანტინეპოლში გაუვლიათ, და-
ლიერებიათ ევროპიული და აზიუ-
წილი ქალაქისა, მეჩითები სოფიის
ი და სხვ. სოფიის ტაძარი მოუვლე-
ს გამო ჯეროვან ყურადღებას ვერ
ს მგზავრისას.
ნსტანტინეპოლიდან (იტალიაში) ნეა-
ში (იტალიაში) გაუვლიათ. ნეაპო
და მის მიდამოების მშვენიერებით
ბუნებას აქიმები მოუხიბლავს
მდენიმე დღეს შემდეგ აქიდან ლონ-
საკენ გამგზავრებულან...
ონდონის სისუფთავეს ჩვენი აქიმები
ციფრებაში მოუყვანია.
ოფლიო აქიმთა კრებას დასწრებია
00 კაცი; თითქმის ყოველი ქვეყნის
მადგენელნი დასწრებიან. ამერიკე-
აქიმები უმეტეს ნაწილს შეადგენ
. რუსეთიდან 300 კაცამდი დასწრე-
კრებას. რუს აქიმთა წარმომადგენე-
პროფესორი ოტი ყოფილიყო და-
ული. მაგრამ არც თვითონ დასწრე-
კრებასა და არც არავისთვის გადუ-
თავის თანამდებობა, რის გამოც-რუს
სექცია არ შემდგარა და მოხსე
რუსულ ენაზე არავის წაუკით-

ვთა შორის, კრებას დასწრებიან
მნათობნი მეცნიერებისა, როგო-
არიან ჰერლისი, ლავერანი და

ვე შენობაში, სადაც კრებები იმარ-
და საქიმო სხვადასხვა დარგიდან
საგულისხმო რამე იყო გამოფე-
ო.
მუხაძეს კრებაზე უნახავს ორი
ული აქიმი: ბ. ვირსალაძე (თფილი-
ბ. მხეიძე (ბათომი).
თველ აქიმებს გაეცნოთ ლონდონ-
თერთი სავაჭრო კანტორის გამგე

ინგლისური ენისა და ცხოვრების კარ-
გათ მცოდნე დ. ღამბაშიძე, რომლის
დახმარებითაც ჩვენს აქიმებს ლონდონი
კარგათ დაუთვალიერებიათ. დიდი შთა-
ბეჭდილება მოუხდენია მათზე ინგლისე-
ლების მუზეუმებს, მხატვრობას, ხელოვ-
ნებას, საავათმყოფოების შენობებს. ეს
უკანასკნელი—საავათმყოფოები თურმე
სულ კერძო შემოწირულობებით ინა-
ხება.

ინგლისელები თავის ეროვნული კულ-
ტურის, ზნეჩვეულების, ეროვნული
ორგანიზაციებისა და დაწესებულების
დიდი მოყვარული და მოტრფიალენი
ყოფილან.

მათი ნაციონალური გრძნობა იქამდი-
საც კი მიდის თურმე, რომ ყოველთვის,
როცა წარმოდგენების დროს მეფეს შე-
ნიშვნენ, ან ეკრანზე მის სახეს დაინა-
ხავენ, ნიშნათ პატივისცემისა საზოგადო-
ება სიამოვნებით წამოდგება და ნაციო-
ნალურ ჰიმნს უგალობებს ხოლმეო.

ლონდონიდან ბერლინი და ვარშავი
გამოუვლიათ ჩვენს აქიმებს.

ტ—ძე.

## კეკლუცობა.

მას ცოლთან რაღაც უსიამოვნება მო-
უხდა.

ცოტათ ცხარე კამათის სახე მიიღო
მათმა საუბარმა.

ქმარი გაბრაზდა... სახე გაულურჯდა
და ტუჩები შემოდგომის სუსხით დამზ-
რალ ფოთოლივით უთრთოდა.

ქალი ოთახის შუაგულს იდგა. მის
მაღალ მოხდენილ ტანს აბრეშუმის გძე-
ლი ტანისამოსი ხარბათ შემოხვეოდა,
გულზე ბრილიანტის დიდი შანა ქონდა
დაბნეული. იგიც ქმარს მკვახე სიტყვით
უმასპინძლდებოდა და ხანაც დიდრონ
იისფერ თვალებს კუთხისკენ ისროდა
ხოლმე.

* * *

გავიდა რამდენიმე დღე.

ცნობის მოყვარე ქმარმა ცოლსა კით-
ხა:—რა იყო, რომ იმ ჩვენი შეტაკების
დროს ხშირათ კუთხისკენ იყურებოდიო.

იქ ხო სარკე სდგას, შიგ სიამოვნებით
ვჭვრეტდი, რომ ჩემს პირის სახეს იმ
დღეს გულმოსულობა უცნაურათ უხ-
დებოდა...

ჯ. ჯორჯიკ ი.

## სამშაბათელა.

ძალიან საყურებელია, როცა აქიმები
ან ვექილები თავს მოიყრიან და თავის
საქიმო—სავექილო საქმეზე საუბარს გა-
მართვენ.

მაჩანჩალათ დავესწარი ერთ ამისთან
თავყრილობას.

მაჩანჩალათ, იმიტომ რომ არც აქიმისა
და არც ვექილის არა მცხია რა.

საქიმო და სავექილო-კი ბევრჯერ
ყოფილვარ..

და ბევრჯერ ყოფილვარ იმიტომ, რომ
ჩვენში, თუ გაწყრა ღმერთი, და ერთჯერ
ჩაუვარდი ხელში აქიმს ან ვექილს—მშვი-
დობით და გამარჯობით—შენს სიცოცხ-
ლეში „კაპლებსა“ და „პარაშოკებში“ და
თხოვნის მარკებში იქნები ჩაფლული...

და იმერელი კაცი—მოგეხსენებათ—
ჰავისა და ბუნების წყალობით მაინცა და
მაინც დიდათ ჯანმრთელი არაა და ვერც
იმას იტყვი, რომ სასამართლო სძულ-
დეს... ჩვენს აქიმებსაც და ვექილებსაც
ეს უნდათ.

ამ საბუთით, არა მგონია, იმდენი აქი-
მი და ვექილი იყოს, სხვა რომელსამე
პროვინციის ქალაქში, რამდენიც ქუთა-
ისშია.

ისიც მოგეხსენებათ, ცხადია, რომ სა-
ცა თაფლია, ბუზიც იქ ჩნდება.

დიახ... შემთხვევით მოვხვდი იმ წრე-
ში, საცა რამდენიმე ჩვენებური აქიმი და
ვექილი იყო.

შორიდან მოსული, დიდი ხნის უნახა-
ვი ორი ამხანაგი ჩამოსვლოდათ—ერთი
აქიმი იყო, მეორე ვექილი.

ამ ჩამოსულ აქიმსა და ვექილს შკო-
ლის ერთმა ამხანაგთაგანმა სადილი გაუ-
მართა, დაპატიჟა ადგილობრივი აქიმ-
ვექილები

ორი საათისთვის ვიყავით მიწვეული,
მარა სუფრას მეხუთე საათი იყო, რო
მიუსხედით.

ორ საათს რომ გადასცილდა, თითო-
თითოდ შემოდიოდა დიდის ბოდიშით
აქიმი ან ვექილი: ავათმყოფები მყავდა,
ვიზიტებზე ვიყავი, კლიენტები მყავდა,
სასამართლოში ვიყავი—და სხვა მისთა-
ნები.

და როგორც იქნა, მეხუთე საათზე
მოვიდენ უკანასკნელი წვეული—ვექილი,
რომელსაც ხუთი საქმე ქონდა იმ დღეს
სასამართლოში, და წვეული-აქიმი, რო-
მელსაც ხუთი ოპერაცია მოესწრო.

— ოჰო! აქ საზოგადოთ დიდი „ოპე-
რაციები გქონიათ აქიმ-ვექილებსო ერ-
თად წარმოსთქვეს შორიდან მოსულმა
აქიმ-ვექილმა...

და დიასახლისმა მიგვიწვია სუფრაზე.

გულუხვ მასპინძელსა და სანდომიან
დიასახლისს რომ ეკადრებოდა ისეთი
კარგი, ლაზათიანი სუფრა იყო გაშლი-
ლი, მარა—უცნაური ამბავი მოხდა—სა-
ათსაც არ ვისხედით, რო მარტო მე და
დიასახლისი შევრჩით ამ ჩვიდმეტი კაცის-

თვის გაშლილ სუფრას. საუზმობა არც
კი იყო მოთავებული, რომ „ექსტრენათ,
დაიბარეს ავათმყოფებმა აქიმები და კლი-
ენტებმა ვექილები.

ოჰო! აქ საზოგადოთ დიდი „ოპერა-
ციები გქონიათ ვექილ-აქიმებსაო! კვლავ
ერთად წარმოსთქვეს შორიდან მოსულმა
აქიმ-ვექილმა და ისინიც წამოდგენ.—
მატარებლის დროა, პალატაში ხვალ სამი
საქმე მაქვს და ოლქის სასამართლოშიც
ოთხიო—სთქვა ჩამოსულმა ვექილმა...
საავათმყოფო ჩემს კისერზეა, ხვალ ათი
ოპერაცია უნდა მოვახდინო—სთქვა ჩა-
მოსულმა აქიმმა და აიკრეს ბარგი.

— ბატონო, ავათმყოფები გიცდისო—
უთხრა მასპინძელ აქიმს მსახურმა...

და დავრჩით ობლათ მე და დიასახლი-
სი... დავრჩით, შევხედეთ ერთმანეთს და
გადვიხარხარეთ... მივუხვდით ერთმანეთს...
ერთი და იგივე ვიფიქრეთ.

ტრაბახა ხალხია ეს აქიმ-ვექილები.
ერთმანეთის ამბავი კარგათ იციან და
ვითომ ჩვენ დაგვატყუეს?

რას იტყვი—მეგობარო?..

თავის თავი!

სამშაბათელა.

## მშრომელი ხალხი.

რუსეთი.

გაფიცვები. ეკატირინოდარში გაზეთ
„კუბანსკი კურიერის“ და „კუბანსკი
სლოვოს“ ასოთამწყობები გაიფიცენ.
წარადგინეს ეკონომიური მოთხოვნილე-
ბანი. სარატოვში თუთუნის ქარხნის
150 მუშა და ბერინგის ქარხნის 130 მუ-
შა გაიფიცა.

— პეტერბურგში ფეხსაცმელების სა-
მკერვალოს მუშათა გაფიცვა კიდევ უფ-
რო გაძლიერდა. გაფიცული მუშათა
რიცხვი 1600 კაცამდი ავიდა. მუშები
ჩვეულებრივ დროს ქარხანაში მოგროვ-
დენ, მაგრამ სახელოსნოში კი არავინ
შევიდა.

— გლაზკოვის ქარხანაში პეტერბურგ-
ში გაფიცვა დასრულდა. ნაწილი მუშე-
ბის მოთხოვნილებისა დააკმაყოფილეს.

— ობუხოვის ქარხნის მუშებს ეცნო-
ბა, რომ მუშათა შვილებისთვის გაიხსნა
ქარხანაში შკოლა. მიმდინარე წელს ახა-
ლი მოწაფეები არ მიიღეს. მოწაფეთა
რიცხვი 150 არის.

უცხოეთი.

კონფერენცია. ციურიხში მესამე მუშა-
თა საერთაშორისო კონგრესი გაიხსნა,
რომელშიც მონაწილეობას იღებს მუ-
ნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო და-
წესებულებების წარმომადგენლები. დე-
ლეგატები თითქმის ყველა ევროპის სა-

ხელმწიფოსგან არის გამოგზავნილი. კონ-
ფერენციის პროგრამაში შედის ბრძოლა
კოალიაციისა და გაფიცვების გასაფართო-
ებლათ.

## უცხოეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბანელები. ალბანელებმა დასწვეს
დიბრა. ქალაქის მცხოვრებნი გაიქცენ.
დიბრის მახლობლათ ექვსი ათასი შეია-
რაღებული ალბანელი მოგროვდა. ცნო-
ბაა—ალბანელები დიბრიდან კაჩევას მი-
დიანო. ალბანელების აჯანყება ძლიერ-
დება. მდინარე დრინიცის მახლობლათ
მცხოვრებნი შეთარადდენ. ამათ დახო-
ცეს სერბიის ნოტაბლები. სერბიის
პრესა ავსტრიასა და იტალიას აბრალებს
ალბანეთის აჯანყებასა და ალბანელთა
დახმარებას. აჯანყებულ ალბანელებს
ამოაჩნდათ ავსტრიისა და იტალიის ია-
რაღი. მთაშავეთმა ალბანელებისგან თუ-
ზის დასაბრუნებლათ ექსპედიცია გაგზავ-
ნა.

მობილიზაცია სერბიაში. გამოიცა უმაღ-
ლესი ბძანება 45 ათასი ჯარის შეკრე-
ბის შესახებ. მობილიზაცია უკვე დაიწ-
ყო. სერბიაში მატარებლები ტვირთს
აღარ ზიდვენ, მხოლოდ ჯარი გადაყავ-
გადმოყავთ.

სერბია და ალბანეთი. ბერლინში ცნო-
ბა მოვიდა,—20 ათასი ალბანელი ისა
ბოლეტინაცის ხელმძღვანელობითა და
ბულგარელ ოფიცერთა დახმარებით სერ-
ბიის ტერიტორიაში შეიჭრენო. ალბანე-
ლები დამარცხდენ, სერბიელებმა ორასი
კაცი დაკარგეს. სერბიის ჯარის 8 პოლ-
კი საზღვარზე გაიგზავნა. ალბანელები
აცხადებენ, ჩვენ თავდაცვის მიზნით იძუ-
ლებული გავხდით იარაღით ხელში გა-
მოვსულიყავითო. სერბიელებმა ჩვენს წი-
ნააღმდეგ პროვოკაციული აქტი ჩაიდი-
ნესო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს
გაზეთში ამ ჩვენს წერილს.

დაბა სამტრედიის კორესპონდენტმა ბ.
„ბუკსმა“ მოათავსა „განთიადის“ № 17
განზრახ მოჭორილი ფაქტები ჩვენს წი-
ნააღმდეგ, რამაც გვაიძულა გამოგვეწვია
იგი სამედიატორო სასამართლოში.

იძულებული ვართ მივმართოთ პირუთ-
ვნელსა და საქმის სწორად გამომძიებელ
სამედიატორო სასამართლოს; დე, მან
სავსებით გამოიძიოს ჩვენი მოქმედება და
აუწყოს იგი დაინტერესებულთ პრესის სა-
შვალებით· ამ შინაარსისავე წერილით „სი-

---

ლს შეუწყობს დანარჩენ მოქალა-
და მომავალ მოდგმათა უფლების
კიცებას.
ვით გამოთქმული აზრები ჩემგან
ონილი არაა, ყველა მეცნიერებში
ებულია და ცხოვრებაშიც გატა-
ლი. რა არის კაცობრიობის ისტო-
თუ არა განუწყვეტელი ბრძოლა
სხვა ჯგუფისშორის თავთავის უფ-
გასამტკიცებლად! ერთი ერი
ის მეორეს, ერთი კლასი მეორეს,
მთავრობას და ამ ბრძოლაში ხან
სუსტი, ხან მეორე, ხან ერთი
ის, ხან მეორე და თუ რამ დიდი
ებულა ადამიანთა შორის დამო-
ულებაში, ეს ბრძოლით მოპოე-
და უბრძოლოთ ქვეყნათ გამეფ-
ა მხოლოდ ძალმომრეობა, უსა-
ობა და მონობა.
პრინციპით რომ ეხელმძღვანელა
რიობას, ერთი გაბატონებული
ს ბატონობას არ ექნებოდა დასა-
ი, არ დაინსხვრევოდა უსაზღვრო
ტიები და არ აღსდგებოდენ განახ-
ლი ოდესღაც ბრწყინვალე, მაგრამ
დიდხანს მტრის ბრჭყალებში სულთ-
ვი ერები!
ნთა ერს, რომ ეცადა მანამდი,
ოსმალეთზე უფრო ძლიერი არ
ბოდა, დღესაც და საუკუნოთაც
ნათ დარჩებოდა, მაგრამ ასჯერ
უძლეურმა ერმა, რომელშიც ძველ
რთა ღვთიური ცეცხლი კიდევ ჩარ-
ყო, აიღო რამდენიმეჯერ ხმალი,
უმაგალითო და უთანასწორო
ძლევამოსილი ოსმალეთის წი-
ეგ, რამდენჯერმე დამარცხებულ
თავისუფლების მაძიებელნი, აუა-
სხვერპლი შეიწირა ამ ერთი
უშედეგო აღელვებამ ერისამ,
არა! უშედეგო და უნაყოფო არ

ყოფილა ეს წაგებული ომები! მათ გა-
აღვიძეს ხალხი, აღუნთეს მას გულში
თითქმის მიმქრალი ეროვნული გრძნობა,
დაანახვეს ერს მისი სუსტი მხარეები,
აამუშავეს და აამოძრავეს ერი და მოამ-
ზადეს ის დიდებული რევოლუცია, რო-
მელიც დაიწყო 1820 წელში, გაგძელდა
თითქმის ათას წელს და რომელიც დაგვირ-
გვინდა საბერძნეთის გათავისუფლებით!
ბრძოლით მოამზადეს მათ ხალხი, ბრძო-
ლით მიიპყრეს ევროპის ყურადღება,
ბრძოლით შექნეს იმათ ის ძალა, რომ-
ლითაც დასცეს ოსმალეთის ბატონობა,
რომელიც, ბ. ნიკოლაძეს გონია, თავის
თავად ზეციდან ჩამოვარდება.

ძლევამოსილი ესპანიის მეფემ კარლოს
მეხუთემ თავის მეფობის დროს ასი ათასი
კაცი ცეცხლზე დასწვა ნიდერლანდში.

ასე დაჩაგრული და ფეხქვეშგათელილი
ყავდა მას სუსტი და პატარა ქვეყანა.
მისმა შვილმა ფილიპე მეორემ ამ უბე-
დურ ქვეყანას უარესი მოუწდომა და
გაგზავნა იქით აუარებელი ჯარით თავისი
მხედართმთავარი მრისხანე ალბა. მოიხა-
რეს ქედი მის წინაშე სულმოკლეებმა და
გულუბრყვილოებმა, არ დამორჩილდა
მხოლოდ ორანელი პრინცი ვილჰელმი
და შეებრძოლა ესპანიას თავისი ერთი
მუჭა ქვეშევრდომებით და თანამგრძნობ-
ლებით. ამ დიდებულ კაცს, რასაკვირვე-
ლია, ბ. ნიკოლაძე გიჟსა და ხალხის და-
მღუპველს უწოდებდა, როგორც უწოდა
მას მისმა მეგობარმა გრაფმა ეგმონტმა,
მაგრამ საქმე კი მით გათავდა, რომ მორ-
ჩილ გრაფს ეგმონტს თავი მოჰკვეთეს მად-
რიდში და ვილჰელმმა კი სამშობლო
გაათავისუფლა!

სუსტი ორლანდია ებრძვის ძლევამო-
სილ ინგლისს და ამ ბრძოლით ქმნის
იგი ძალას შიგნით და გარეთ შოულობს
მიწასა და თავისუფლებას.

ალიშახმა დახურა მეჯლისი, დაატუსა-
ღა ქვეყნის ერთგულნი, მთელ სპარსეთ-
ში გაამეფა თავისი ძალა და მრისხანება
და თითქო მოკვდა ყოველივე სურვილი
ბრძოლისა და წინსვლისა! ბ. ნიკოლაძის
პრინციპით, ანუ არ უნდა ებრძოლათ
მის წინააღმდეგ, რადგან ის ძლიერი იყო,
ან და უნდა დაეწყოთ ბრძოლა მაშინ,
როცა ხალხი დაირაზმებოდა, გაიწვრთნე-
ბოდა, ზარბაზნებსა და ტყვიისმტყორცნე-
ლებს გაამრავლებდა, ე. ი. როცა ძალ-
ღონით თვით ალიშახის მაღლა დადგე-
ბოდა! დიდხანს მოუხდებოდა სპარსეთის
ხალხს ცდა, რომ მრჩეველათ ბ. ნიკო-
ლაძე ყოლოდა, მაგრამ ერთმა თავგან-
წირულმა და ერის ერთგულმა ვაჟკაცმა,
სათარხანმა არ კითხა არავის, და თავის
რამდენიმე თანამოაზრით აჯანყება გა-
მოაცხადა, ბრძოლა გამოუცხადა. ბრძო-
ლამ ძალა მოიზიდა, ხალხი გაამხნევა,
სპარსეთის დანარჩენ ნაწილს მაგალითი
მისცა, ხალხი კვლავ აღელდა, აზლვავდა
და ალიშახი საუკუნოთ გამოეთხოვა
ტახტსა და სამშობლოსაც.

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი, ჩვე-
ნი დროის ინგლისის ცხოვრებიდან—
სუფრაჟისტი ქალების ბრძოლა უფლე-
ბისთვის. პირველათ ამ საბრძოლ სარბი-
ელზე გამოვიდა სულ ერთი მუჭა ინგ-
ლისელი ქალები, რომელთაც ვერ შე-
ასრულეს ბ. ნიკოლაძის რჩევა და მოი-
თხოვეს უფლებები და გამართეს ბრძო-
ლა, სანამ იმდენ ძალას შემოიკრებდენ,
რო მთელი ინგლისის მთავრობა მთე-
ლი მისი ჯარითა და ფლოტით ერთბა-
შათ დამორჩილებოდა მათ. მაგრამ, მი-
უხედავათ ამისა, ბრძოლამ ძალა შექნა
და ბოლოს და ბოლოს პარლამენტი იძუ-
ლებული გახდება მიანიჭოს ქალებს
საარჩევნო და სხვა უფლებები, რომლის-
თვისაც ისინი იბრძვიან!

ავიღოთ მუშათა მდგომარეობის გა-
უმჯობესება! ეჭვი არ არის და ბ. ნიკო-
ლაძე აქ დაგვეთანხმება, რომ დღევანდე-
ლი მუშის მდგომარეობა გაცილებით
უფრო მაღლა სდგას, ვიდრე მეჩვიდმეტე,
მეთვრამეტესა და მეცხრამეტე საუკუნის
მუშის მდგომარეობა. განა უბრძოლოთ
შეიძლებოდა ასეთი შედეგის მიწევა?
ყოველი ნაბიჯი მუშათა ცხოვრებაში
გაუმჯობესებისკენ წინ გადადგმული აღ-
ბეჭდილია მამაკაცთა და დედაკაცთა,
ბავშთა და მოხუცთა საშინელი შიმშილ-
წყურვილით, ტანჯვითა და ცეცხლით,
და ხშირათ სისხლითაც კი, მშრომელი
ხალხის სისხლით! ხშირათ მუშები მრა-
ვალ ტანჯვის განცდას შემდეგ სასტიკათ
დამარცხებულან, მაგრამ იგი ბრძოლა
შემდეგისთვის მაინც საჭირო ყოფილა და
მით შემდეგი ბრძოლა გაადვილებულა!
ბოლოს მაინც მუშა ხალხს თავისი ბრძო-
ლით გაუტანიათ!

შემდეგ ბ. ნიკოლაძე ეხება 1905
წლის მოძრაობასა და სასტიკათ კიცხავს
როგორც მას, ისე მის შემქნელ ძა-
ლებს, რომელთაც პროვოკატორებს და
კინტოებს უწოდებს და მოძრაობას კი
ართმევს ყოველგვარ მნიშვნელობას.

ბ. ნიკოლაძეს ავიწყდება 1905
წლის მოძრაობის შედეგები; უწინარეს
ყოვლისა ავიწყდება, რომ მოძრაობის შე-
დეგია რუსეთის პარლამენტი. მაგრამ
უმთავრესი შედეგი კი 1905 წლისა იყო
ხალხის სულიერათ გარდაქმნა, რაც წინ-
დი არის მომავალში სრული გამარჯვე-
ბისა, და მთელი ცხოვრების განახლე-
ბისა! დღეს სულის განთავისუფლება
ბორკილებისგან ყველაზე უფრო პრესას
ეტყობა! მიუხედავათ ათასგვარი რე-
პრესიებისა, დღევანდელ ჟურნალ გაზე-
თებში ისეთი რამეები ისტამბება, რო-

მელზეც ათი-ოცი წლის წინათ რუსეთის
მოქალაქე და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყ-
ნის მკვიდრი ფიქრსაც კი ვერ გაბე-
დავდა!

საზოგადოთ ბ. ნიკოლაძეს მხოლოდ
ისეთი რევოლუცია მოსწონს, სადაც
მთელი ხალხია ამბოხებული, აზრთა სხვა-
დასხვაობა არ არის და სადაც ერთის
დაკვრით ისპობა ძველი დახავსებული
წესწყობილება. ასეთ რევოლუციათ იგი
სთვლის საფრანგეთის რევოლუციას 1870
წლისას და ავიწყდება, რომ ერთსულოვ-
ნება არც იქ ყოფილა და გამარჯვე-
ბულმა რესპუბლიკანელებმა აუარებელი
კომუნარები ამოჟლიტეს!

ეტყობა ბ. ნიკოლაძეს საფრანგეთის
დიდი რევოლუცია სისულელეთ მიაჩნია
რადგან მაშინ პარტიები გაჩნდენ და
მათმა ბრძოლამ ერთმანეთთან ნაპოლეო-
ნი გაამეფა! მაგრამ ავიწყდება ბ. ნიკო-
ლაძეს, რომ იმ რევოლუციის ფარული
შედეგები მეტი ღირსების იყო, ვიდრე
ნაპოლეონის მაგიერათ სახელმწიფოს სა-
თავეში პრეზიდენტის დასკუპება, და ეს
ფარული შედეგები კი გამოიხატებო-
და შემდეგში: იმ დიდმა რევოლუციამ
სამუდამოთ დაარღვია ძველი შეხედულე-
ბა სახელმწიფო სუვერენიტეტზე და ჩა-
აგონა ხალხს, რომ სუვერენიტეტი
ეკუთნის თვით ხალხს! ერთიანათ შესცვა-
ლა ძველი შეხედულებანი ცხოვრებაზე,
წოდებაზე, მთავრობაზე, გაამეფა ახალი
ჭეშმარიტებანი, რომელთათვისაც ბრძო-
ლამ გაახლა მთელი ევროპა!

იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ რე-
ვოლუცია თუ ზოგის ამშენებელია, ზო-
გისთვის ის დამღუპველი არისო, ბ. ნი-
კოლაძეს მოყავს მაგალითად ოსმალეთი,
სპარსეთი და ჩინეთი და ამტკიცებს, რომ
ისინი რევოლუციამ დაღუპაო. საბუთათ
მოყავს ის გარემოება, რომ რევოლუცი-
ას შემდეგ და კონსტიტუციის დამყა-
რების უკან ოსმალეთმა დაკარგა ტრი-

## საჭაჭრო სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო

საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთი

რომელიც პირდაპირ მწარმოებელისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით.

სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთზე გასულ წელთან შედარებით

## ფასები დაუკლო.

ახლად მიღებულია რ ა ნ ც ე ბ ი (რანცები)

მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში ჩვენ მივაქცევთ მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეების

„დღიური" „Дневникъ"

რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს მოწაფეს მოთხოვნილებასა და შედარებით იაფ ფასად იყიდება.



დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე.

მოიეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაგზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აურებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფასი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


მართლის ხმის" რედაქციას მივმართეთ ჩვენ, მაგრამ ამ სამართლიანმა ორგანომ კეთილ ინება და განძრახ დამახინჯებულათ აუწყა იგი საზოგადოებას, თავის მე-9-ე ნუმერში და თავის მახინჯ კორესპონდენტს „ბუკს" საშვალება მისცა დამახინჯებული პასუხი მოეთავსებია ჩვენდამი ამავე ორგანოს მე-11-ე ნ-ში. ბ-ნი „ბუკსი" ამ წერილში ამბობს: „მე მხოლოდ ფაქტები ავნიშნეო. თქვენი პიროვნება კი მე სრულებით არ მაინტერესებსო; შევეხე თქვენდამი მინდობილი საზოგადო საქმეების ბედ-იღბალს, გეხებოდით როგორც საზოგადოების ვექილებს. ჩემს კორესპონდენციაში ვსთქვი ის, რაც მოხდა და სხვა".

აი, სწორეთ სამედიატორო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ის, თუ „ბუკსის" გამოქვეყნებული ფაქტები ჩვენს წინააღმდეგ, როგორც დაბა სამტრედიის საზოგადოების ვექილებისა, მართალია.

ჩვენ ბრალსა ვსდებთ „ბუკს":

1 მან ზრესაში ყოვლად სიმართლეს მოკლებული ფაქტები აღნუსხა და 2) განზრახ ჩაიდინა ეს, რათა სხვადასხვა მიზეზს გამო (მიზეზებს სამედიატორო სასამართლო გამოარკვევს) მას აინტერესებს ჩვენი პიროვნება, არა როგორც ვალდ მომუშავეთა საზოგადოების საქმეებში, არამედ როგორც სხვაგვარათ მოაზრეთა.

მედიატორებათ ვასახელებთ გრიგოლ ლადიძესა და ბესარიონ ჯაიანს. ვსთხოვთ „ბუკსმა" დაასახელოს თავისი მედიატორები ხუთი დღის განმავლობაში ამ წერილის დაბეჭდვის დღიდან

გიორგი სიხარულიძე, ისიდორე სტურუა, პორფილე ჩეიშვილი

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ. ჩელიძე.

პოლი და ბალკანეთის ნახევარი კუნძული, ჩინეთმა კი მონგოლეთი, ტიბეტი, კულჯა და სპარსეთი ხომ სულ განადგურდაო.

ასეთი მსჯელობა, რომელიც ლათინური ფრაზით გამოიხატება—pos hoc, ergo propter hoc (თუ ამის შემდეგ მოხდა, ამის მიზეზით მოხდარაო) ძველი ტიპის სემინარიებში მოწაფეებს სამასხრო ვარჯიშობაში ქონდათ ხოლმე მიღებული, ხოლო ისეთ ადამიანს, რომელიც დინჯსა და ჭკუადამჯდარ მწერლათ ითვლება, ასეთი უცნაური მსჯელობა არც წინათ ეპატიებოდა და არც ახლა ეპატიება. ასეთი მსჯელობა და ასეთი მაგალითების მოყვანა ავტორს ან მოუფიქრებლობით მოუვიდა, ან და, პირიქით, საკმაოთ ხანგძლივი მოფიქრებას შემდეგ გადაისროლეს ყუმბარა მკითხველ საზოგადოებაში, რათა მასში მოთავსებული თავბრუ-დამხვევი გაზებით გააბრუოს, გაარეტიანოს მკითხველი და უფრო ადვილათ ჩააგონოს შემდეგ თავისი შემცთარი, შეუწყნარებელი აზრები.

მაგრამ ცოტათი მაინც დაკვირვებული მკითხველი, რომელსაც კი თანამედროვე ხალხთა ცხოვრებისათვის ყურადღება მიუქცევია, ადვილათ მიხვდება, რომ ის უბედურება, რომელიც ოსმალეთს თავს დაატყდა, შედეგი იყო არა რევოლიუციის და კონსტიტუციის დამყარებისა, არამედ უწინარეს ყოვლისა, იმ სასტიკი აბსოლიუტური რეჟიმისა რომელშიც ყოვლად ხონთქრობს ხალხი ექვსასი წლის განმავლობაში და ამას გარდა ის აუარებელი არა ოსმალონი, რომელნიც შეადგენენ თითქმის მთელი სახელმწიფოს ნახევარს და რომელნიც მუდამ სახელმწიფოს დანგრევისათვის მუშაობდენ და იღვწოდენ! ხალხი—მონა, ხალხი ჩაგრული, ხალხი მუდამ ჰძანების მომლოდინე ზევიდან და საკუთარ თაოსნობას მკოლებული, აი, ასეთი ხალხი ველარ აღუდგა წინ ერთბაშათ მოსეულს შინაურსა და გარეშე მტერს და დამარცხდა! მაგრამ აქ რევოლიუცია რა შუაშია! როდის დაკარგა ოსმალეთმა ეგვიპტე, ტუნისი, საბერძნეთი, ბულგარია, სერბია, რუმინია, ბათომისა და ყარსის ოლქები და მრავალი სხვა ვრცელი და ძვირფასი ავგილები? ავიღოთ ჩინეთი! მრავალ ათას წელთა განმავლობაში ჩაგრულმა ხალხმა გამოიღვიძა და მოაშორა თავის სამშობლოს უდიდესი და უძლიერესი მტერი—ბოგდიხანის აბსოლიუტური რეჟიმი. ეს ისეთი დიადი მოვლენა იყო, რომ კი ღირდა ამისათვის. მონგოლიაც დაეკარგათ მათ და ტიბეტიც, მაგრამ, როგორც ჩანს არც ერთს კარგავს და არც მეორეს და უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე ამ პროვინციების ავტონომიით გათავდება! მაგრამ კიდეც რომ დაკარგოს ჩინეთმა ეს პროვინციები, განა ეს რევოლიუციის ბრალი იქნება? განა ამისათვის დასაგმობია ჩინეთის ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და აღორძინებისადმი? როდის დაკარგა ჩინეთმა ლიაოდოუნის ნახევარი კუნძული, კიაოჩოუ, ინდოჩინეთი და სხვა მრავალი სამფლობელო? მაშინ როცა ბ. ნიკოლაძის მიერ ათვალწუნებული რევოლიუცია არსად იყო და როცა ბოგდიხანი აჯდა კისერში ხალხს და ხელშეუშლელათ სწოვდა მას სისხლსა და ტვინს! მაშინ შეეძლო ბ. ნიკოლაძეს ეთქვა, ჩინეთი დაღუპულიაო, ხოლო დღეს კი ამ საგმირო საქმეთა ჩამდენ ხალხს ბრწყინვალე ცხოვრობა მოელის და ჩვენგან მხოლოდ ეკუთნის მას ვაშა და დიდება! ავიღოთ თუნდა სპარსეთი! განა მან არ დაამტკიცა, რომ იგი მომწიფებულია ახალი ცხოვრებისათვის, როცა ალი-შახი არათუ ჩამოაგდო ტახტიდან, შემდეგშიც სირცხვილეული გააძევა სპარსეთის საზღვრებიდან, მიუხედავათ იმისა, რომ მასთან ბრძოლის გარდა იმავე დროს გარეშე მტრებთანაც სჭირდებოდა ბრძოლა!

სპარსეთი უკანასკნელ საუკუნეში ყოველთვის ასპარეზი იყო ათასნაირი ავანტიურისტების სათარეშოთ, ყველა თავისთავზე ზრუნავდა. თავის მიზანს ესწრაფებოდა და ხალხი კი ბრმა იარაღათ იყო მათ ხელში! ხალხი დაეცა, დაღარიბდა, გადაშენების გზას დაადგა... მაგრამ დაუბერა სიომ თავისუფლებისამ, ხალხმა გაიღვიძა, გამართა თავგანწირული ბრძოლა, წამოაყენა ხალხის ერთგული მოღვაწეები და მებრძოლნი, განახლების სულმა დაუარაა ხალხს და ეჭვი არ არის, რომ თუ ხელოვნურათ არ მოსპეს გლეხმა მეზობლებმა ეს ხალხი, გუშინ მონა, უმოქმედო, მოსპობის თავდაღმართზე დაქანებული, ხვალ კვლავ აღსდგება ფენიკსებრ განახლებული და ჩაებმება საერთო საკაცობრიო შრომისა და კულტურის ფერხულში!

ასეთი სუსტი საბუთებით მოინდომა ბ. ნიკოლაძემ ფეხქვეშ გათელვა და გადალახვა იმ ხალხთა წმიდათაწმიდისა, რომელთაც თავისი სისხლით თავგანწირული ბრძოლით მოსპეს უსამართლობა, დათრგუნეს ბოროტება და მოიპოვეს უკეთესი პირობები, როგორც ინდივიდუალური, ისე ეროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის! და, რასაკვირველია, იგი ასეთი საქციელისთვის ბევრისგან ტაშს მიიღებს ხოლო შეგნებულთაგან კი მხოლოდ გმობასა და საყვედურს.

**იწ.**


საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.

## „პ ა ტ ო კ ს ა ნ".

„პატოკსან" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

„პატოკსან" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

„პატოკსან" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

„პატოკსან" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და ღლიური ნაწველიც გაადიდოს.

„პატოკსან" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის „გეორგი რუსინოვ და ამხ." თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".



## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავალს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე „კლდ ქვიშული" ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ამგოტო, 8000 რისლინი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გომე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე ძმ. ვოკიელის სახლში.



## КУРСЫ
кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.

## ПРІЕМЪ
заказовъ на элегантные дамскіе наряды

## M-me МАРИ

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что специальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможность: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) зарабатывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленные газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого, до начала занятій остается немного. Поспѣшите записаться на курсы. Кандидатки сверхъ комплекта припиматься не будутъ.

Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ* Кутаисъ, 1-ая Алексанoровская улица, домъ Бокерія противъ бульвара.

Съ почтеніемъ **M-me МАРИ**.



## ამ შემოდგომაზე ჭურებისთვის დ[აგ]ჭირდებათ

## საუკეთესო ცემენტი,

რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ

### ძმ. ე. და პ. საკაშვილების სავაჭროში

ქუთაისში პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: ს[...]ლის საღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.



ხრესილი — სამკურნალო აბანო — იხილეთ თვალით დარწმუნდებით.

## სამკურნალო აბანო

მეიფასი მთის აერზე

### ძმ. ყორყოლაძეების

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.



## გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ქუთაისის „БЕМСК[...]"

### რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილება, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.